თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერიტეტი
სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციალური მუშაობა

მარიამ ხინგავა

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მდგომარეობა ეთნიკური თვალსაზრისით

ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის ბაკალავრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სალომე ნამიჭეიშვილი, თსუ,

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2023

1. ანოტაცია 3

2. შესავალი 3

2.1. კვლევის მიზანი 4

2.2. კვლევის ამოცანები 4

2.3. კვლევის მეთოდები 5

2.4. კვლევის აქტულობა 5

3. ლიტერატურის მიმოხილვა 6

3.1. ქუჩაში მცხოვრები ბავშვების პრობლემატიკის ზოგადი მიმოხილვა 6

3.2. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების განმარტება 8

3.2.1 2019-2022წწ. ანგარიშების ზოგადი მიმოხილვა 10

3.2.2.ეთნიკური იდენტობა და უმცირესობის საკითხი 12

3.3. მობილური ჯგუფების გადადგმული ნაბიჯები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 114

3.4 გარემოებები, რომლებიც ზემოქმედებს ბავშვების ქუჩაში ცხოვრებაზე და ხელს უწყობს მათ გამოჩენას 16

3.5.ეკონომიკური საქმიანობა და გადარჩენის გზები 17

3.6 სოციალური მუშაობა, როგორც ადმიანთა უფლებათა დაცვის პროფესია 19

3.6 პრევენციული ზომები 22

3.7 კვლევის ძირითადი მიგნებები 24

3.8 დასკვნა 26

გამოყენებული ლიტერატურა 28

1. ანოტაცია

საბაკალავრო საკითხი თემაზე “ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მდგომარეობა ეთნიკური თვალსაზრისით” აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებაში, რადგან ამ საკითხის მოგვარება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იმისათვის, რომ უმცირესობათა რეგულაციები და პოლიტიკა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საჭიროებებთან და რისკებთან.

საქართველოში ძირითადად ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ჯგუფში ჭარბობს ეთნიკური ფენა, კერძოდ, ბოშები და აზერბაიჯანელი ქურთები. (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018წელი)

ზოგიერთ წრეში ძალიან გავრცელებულია ბოშების სტიგმატიზაცია, ასევე დიდია აზერბაიჯანელი ქურთების მიმართაც. სწორედ ამ ნაშრომში განვიხილავთ რა ეთნიკური დამოკიდებულებებია საზოგადოებაში გავრცელებული,როგორია ქუჩაში მყოფი ბავშვების საცხოვრებელ პირობები, კვლევაში ზოგადად აღწერილია ის ძირითადი მაპროვოცირებელი გარემოებები, რომელიც მათ უბიძგებს ქუჩაში ცხოვრებასა და მუშაობას. მოცემული ინფორმაცია კი დაგვანახებს, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეები ამ საკითხს მიუდგნენ მეტი პასუხისმგებლობით და ხელი არ შეუწყონ ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მარგინალიზაციასა ან/და სტიგმატიზაციის საკითხს , საზოგადოება მეტი ემპათიით უნდა მიუდგეს ამ საკითხს და იმ შემთხვევაში თუ კი შეესწრებიან ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტს აუწყონ შესაბამისს ორგანიზაციებს.

შესავალი

2.1 კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი არის ეთნიკური უმცირესობის წამომადგენელი ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების სიტუაციის შესწავლა, მათი საჭიროებების გამორკვევა, ასევე პრევენციისა და არსებული პრობლემების აღმოფხვრის სტრატეგიების შესწავლა

2.2 კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

1) რა პრობლემებისა და საჭიროების წინაშე დგებიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები
2) ეთნიკურ უმცირესობაში მყოფი ბავშვების მოწყვლადობის თავისებურების შესწავლა
3) როგორ იცავს კანონმდებლობა ეთნიკურ უმცირესობაში მყოფ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს
4) რა მომსახურებები არსებობს აღნიშნული ჯგუფისთვის

2.3. კვლევის მეთოდები

კვლევის ფარგლებში უპირატესობა მინიჭებული აქვს თვისებრივ კვლევას,შესაბამისად ეყრდნობა მეორეული მონაცემების ანალიზი, ვინაიდან თვისებრივი კვლევა მეტად კონსტრუქტივისტულ პარადიგმებზეა დაყრდნობილი, იგი მიზნად ისახავს საკვლევი საკითხის “გაჯერებულ აღწერას”(წულაძე,2020 გვ 18)

აღნიშნული თვისებრივი კვლევის დროს ჩვენ ერთგვარად ვეცნობით შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას და სხვა მკვლევრების მიერ მოპოვებულ მსგავს წყაროებს. ამ კვლევის ფარგლებში გამოყენებული არის, როგორც სამეცნიერო დოკუმენტები, ასევე სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოს მაგალითზე სამართლის დოკუმენტები და საერთაშორისო ლიტერატურა, ეს კონკრეტული კვლევები კი დაკავშირებულია არჩეული თემის შინაარსთან და საკვლევ მიზნებთან.

2.4 საკვლევი თემის აქტუალობა

წლების განმავლობაში აქტუალურია საკითხი "ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მდგომარეობა ეთნიკური თვალსაზრისით" საზოგადოების დიდი ნაწილი ყოველთვის საუბრობს ამ საკითხზე ასევე შუქდება სატელევიზიო გადაცემებშიც.

დღითი დღე ეს პრობლემა მეტად აქტუალური ხდება - არის მოლოდინები იმასთან დაკავშირებით, რომ ეს მდგომარეობა დროულად უნდა იქნას გამოსწორებული, 2015წლიდან აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქუჩაში მცხოვრები ბავშვებისთვის სხვადასხვა მომსახურებების მისაწოდებლად , კერძოდ, მათი იდენტიფიკაცია და შესაბამისი, უსაფრთხო საცხოვრისის შეთავაზება, საჭირო მომსახურებებისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის შეთავაზება სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დახმარებით, დღის ცენტრებისა და კრიზისული სიტუაციებისათვის დახმარების სპეციალური სერვისები. (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018წელი)

კვლევა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მდგომარეობა ეთნიკური თვალსაზრისით"აქტუალურია, რადგან საზოგადოებისათვის ყოველთვის საინტერესოა ბავშვების მრავალფეროვანი წარმომავლობა და ის ძირითადი მაპროვოცირებელი ფაქტორები, რომელიც მათ ქუჩაში ცხოვრებისკენ და მუშაობისკენ უბიძგებთ მათ.

3 ლიტერტურის მიმოხილვა

3.1 ქუჩაში მცხოვრები ბავშვების პრობლემატიკის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებში მეტად ჭარბობენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, კერძოდ, ეთნიკური ქართველები, ბოშები და აზერბაიჯანელი ქურთები,აქედან გამომდინარე ვიგებთ , რომ ხშირ შემთხვევაში ამ ყოველივეს განაპირობებს, როგორც ბავშვების ასაკი და ცხოვრების დინამიკა ასევე მათი წარმომავლობაც. ხშირი არის შემთხვევა, როდესაც უფროსი ასაკის ახალგაზრდები იმუშავებენ მათთვის ქცევების საჭირო და ეფექტურ კოდექსს და ქმნიან სხვადასხვა საკითხისადმი ურთიერთდამოკიდებულების კავშირს, რომლის შემთხვევაში შესაძლებელია ბავშვმა თავი ვეღარ დააღწიოს იმ ცხოვრებას, რომელშიც ის იმყოფება, ანუ ქუჩასა და ისეთ მავნე ქცევებს, როგორიცაა კრიმინალური ან ძალადობრივი თვისებები და აქედან გამომდინარე ჩადენილი ქმედებები. (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018წელი)

ხშირია შემთხვევა, როდესაც ბავშვთა ჯგუფებს ისეთი შიდა სტრუქტურა აქვთ, როგორიცაა უპირატესის მქონე სტატუსის ბავშვი და მასზე დაქვემდებარებული, მაშინ როდესაც ისინი დაცვისა დახმარების პროცესში იმყოფებიან ცდილობენ შექმნან სუბორდინაციული სტრუქტურები, ამ დროს კი ვხვდებით შემდეგი სახის რეალობას, როგორიცაა დაქვემდებარებული ახალგაზრდის ე.წ "ფარად" გამოყენება - ისინი ამ კონკრეტულ პირებს აიძულებენ ჩაიდინონ დანაშაული, ხოლო შემოსავალი თვითონვე მიისაკუთრონ, სტრუქტურა მართლაც რთულია, ვინაიდან ამ დროს დანაშაულის ჩამდენნი არიან უმცროსი ასაკის ბავშვები, ხოლო უფროსი ასაკის ბავშვები, რომელმაც ლიდერობა შეითავსა ჯგუფში ელოდება ნაძარცვის მიტანას, ასეთი გარემოების არსებობა კი უკავშირდება შემდეგ პრაქტიკას- ვინაიდან ჩვენს

ქვეყანაში 14 წლამდე ბავშვებზე არ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა, აქედან გამომდინარე უფროსი ასაკის ახალგაზრდები მსგავსი დანაშაულის ჩასადენად იყენებენ უმცროსი ასაკის მოზარდებს. (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,2009)

ტერიტორიულად ეს დაჯგუფებები სახლდებიან მიწისქვეშა გადასასვლელებში, პერიოდულად მსგავს დაჯგუფებებში კი ხშირია ჩხუბი ხელმძღვანელობის მოსაპოვებლად, აქედან გამომდინარე ბევრ ყოფილ წევრს აქვს ფსიქოლოგიური ტრამვა, ჩემს მიერ დამუშავებული კვლევიდან კი ირკვევა, რომ ამ ჯგუფების მიერ დაკავებულ ტერიტორიას სახელმწიფო სერვისების წარმომადგენლები და სამართალდამცავები არ ეკარებიან.(გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018წელი)

ქუჩაში მცხოვრები ბავშვების ჯგუფი განსაკუთრებით მოწყვლადები არიან, აქ მცხოვრებ მოზარდებს არ აქვთ რესურსი მიიღონ განათლება, ასევე არ მიუწვდებათ ხელი სამედიცინო მომსახურებებზე, თუ ეს არ არის გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად კი რჩება გოგონებზე ძალადობის პრობლემა,მეორეულ წყაროზე დაყრდნობით, რომელიც ეყრდნობა კვლევას მდედრობითი სქესის წარმომადგენლები იძულებული იყვნენ სექსუალური მომსახურება გაეწიათ ჯგუფის ლიდერი წევრებისთვის, ეს საკითხი კი კიდევ ერთ პრობლემას ფენს ნათელს - ასეთი ბავშვები სექსუალური ძალადობის შედეგად მეტად ტრამვირებულნი არიან.(გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018წელი)

აღსანიშნავია ასევე ფაქტი იმის შესახებ, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ცხოვრება ატარებს მეტად სეზონური მიგრაციის ფორმას, ყველაზე მეტად გავლენას ამ კონკრეტული მიგრანტების გადაადგილებაზე ტურისტული სეზონი ახდენს. ზაფხულში ბავშვები მეტად არიან მიმართული ბათუმში, ქობულეთში და სხვა ზღვის პირა ადგილებზე. ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებული დასკვნების გამოტანა ძალიან საფრთილო და დასაფიქრებელია, ვინაიდან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ბავშვობიდან მოყოლებული ქუჩაში ცხოვრების

დიდ და მეტად ფართო სპექტრში არიან წარმოდგენილები. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა გარკვეული ეთნიკური მახასიათებლებით არის ცნობილი, მხოლოდ ამიტომ არ უნდა მივიჩნიოთ კულტურულ ან/და მენტალურ ფენომენად. (სამეცნიერო-კვლევითი ფონდი ფაფო, 2018 წ, ივნისი)

3.2 ქუჩაში მყოფი ან/და მომუშავე ბავშვების განმარტება

ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების საკითხი პერიოდულად მეტად ხდება აქტუალური, თვითონ სახელწოდებამ კი მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა. 1980-იან წლებში ეს ტერმინი განიმარტებოდა,როგორც - ყველა ის მოზარდი, რომლებისთვისაც ქუჩა წარმოადგენდა, როგორც მუდმივ ადგილსამყოფელს ასევე საარსებო საშუალების წყაროს, მათზე არ მოქმედებდა არც მშობლის და არც ოჯახის წევრის ან/და ხელმძღვანელის მეთვალყურეობა (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 2012:9)

ზემოთ აღნიშნული საკითხების მსგავსად აპტეკარმმა და სტოკლინმა უპირატესობა მიანიჭეს "ქუჩის სიტუაციაში მყოფი ბავშვების" ცნებას, მათი მიზანი იყო საზოგადოებას გაეგო და მეტად გაემახვილებინა ყურადღება ბავშვების მდგომარეობაზე.მათივე თქმით,ქუჩის სიტუაციაში მყოფი ბავშვებისთვის საერთოა შემდეგი გარემოება, კერძოდ - მათთვის ქუჩა წარმოადგენს როგორც ფიზიკურ ასევე ფსიქო-სოციალურ გარემოს, სწორედ ეს აღნიშნება გამოიყენა გაერომ თავისავე ცნობილ კვლევებში აღნიშნება "ქუჩაში მცხოვრები ბავშვები " - გულისხმობს იმ მოზარდებს,რომელთათვისაც ქუჩა წარმოადგენს ცენტრალური საცხოვრებელს -

კერძოდ, იმ ადგილს, სადაც ყველაზე დიდი დროის ნაწილს ატარებენ, სწორედ ქუჩა ახდენს გავლენას მათივე ყოველდღიურ ცხოვრებასა და იდენტობაში (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 2012).

ამ განმარტებების ჩამოყალიბებისას კარგად ვხედავთ როგორ იცვლება აქცენტები და შეხედულებები ამ საკითხის მიმართ თუ პირველად ბავშვებს შედარებით უფრო მარტივ კატეგორიად მოიაზრებდნენ, ახლა უკვე ყურადღება მეტად არის გამახვილებული ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქუჩასთან ბავშვების მჭიდრო კავშირსა და მათ შორის დამყარებულ ურთიერთობებზე, თუმცა ამ საკითხის ირგვლივ დავა მაინც არ წყდება, საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ტერმინი მეტად არის დისკრიმინაციული ტერმინი "ქუჩის ბავშვის" გამოყენება დიდ რისკთან არის დამოკიდებული მკვლევარებისთვის, ამიტომ იყენებენ შემდეგ სიტყვა შეთანხმებებს "ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები" , "ბავშვები ქუჩის სიტუაციებში" და სხვა. (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი,2012)

აღსანიშნავია ,რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს "ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები" აღნიშნული ჯგუფი შედგება 18წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისგან, რომლებიც როგორც დღის ასევე ღამის საათებს უმეტესად ქუჩაში ატარებენ , ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოზარდების დიდი ნაწილი, რომლებიც თავშესაფარში ცხოვრებენ ღამეს გარეთ ატარებენ და ამ გზით აგრძელებენ ქუჩაში ყოფას, აქედან ვიგებთ რომ ამ ქცევით ისინი ინარჩუნებენ ქუჩის კავშირსა და სოციალურ გარემოს, რომელიც მას ჰქონდა მანამ სანამ თავშესაფარში მოხვდებოდა. (სამეცნიერო-კვლევითი ფონდი,2018წ)

საქართველოში მყოფი ქუჩაში მცხოვრები ბავშვები სხვადასხვა ენაზე საუბრობენ,მათგან კი შედარებით ყველაზე დიდი ენობრივი ჯგუფი არის ბოშური ენა და ქურთული ენის დიალექტი, რომელსაც ყველაზე მეტად იყენებენ აზერბაიჯანელი

ქურთები. ბავშვებს ეთნიკური ტერმინოლოგიიდან გამომდინარე ხშირად მოიხსენიებენ, როგორც "ბოშას" ან უარეს შემთხვევაში, როგორც "ციგანს".
ძალიან საინტერესო მიდგომა აქვთ ამ თემისადმი აპტეკარსა და შტოკლინს , ისინი ამ საკითხის ორ განზომილებას ითვალისწინებენ,კერძოდ, - სოციალურ და სივრცობრივ განზომილებას.(Aptekar & Stoecklin 2014: 17-18) მათ მოძიებული ემპირიული მასალა შეიყვანეს კვლევებში, როგორც სოციალიზაციის ნორმები და ღირებულებები, ისინი გვერდს უვლიან სივრცობრივ ჩარჩოებს და მეტად უღრმავდებიან ისეთ ფაქტორებს როგორიცაა ინდივიდის ქუჩაში ცხოვრების რუტინა, ჯგუფთან ურთიერთობების და მათგან იდენტიფიცირება, მათ კვლევაში ისინი ქუჩაში მყოფი ოჯახების არასრულწლოვან ბავშვებს ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბავშვებს მიაკუთვნებენ, რადგან ისინიც დღის უმეტეს ნაწილს სწორედ ქუჩაში ყოფნასა და თანხის გამომუშავებას უთმობენ (Aptekar & Stoecklin 2014: 21-23)

3.2.1 2019-2022წწ.სახალხო დამცველის ანგარიშების ზოგადი მიმოხილვა

2016-2019 წწ სახალხო დამცველის ერთ-ერთი თავი ეთმობა ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების მდგომარეობას, ანგარიში მოხსენიებულია მათ შესახებ რისკ და დამცავი ფაქტორები, სახალხო დამცველის კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ქუჩაში მცხოვრები ბავშვები რთული გარემოების წინაშე დგანან, ამ ყველაფერს კი ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ საზოგადოება გულგრილია ამ თემისადმი, არ უღრმავდებიან საკითხს თუ რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ იმ შემთხვევაში თუ მათ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ. სახალხო დამცველის ამ დროის მასალა ცხადყოფს, რომ ქუჩაში მცხოვრები ბაშვების ქვეპროგრამა საჭიროებს მეტად დამუშავებას, ვინაიდან ეს ყოველივე განიცდის მატერიალურ-ფინანსურ და ადამიანური რესურსის ნაკლებობას, ასევე ძალიან პრობლემატურია დამატებითი

მხარდამჭერი სერვისების არარსებობა და არსებული ინფრასტრუქტურული სერვისები. (სახალხო დამცველის ანგარიში,2019)

ბოლო პერიოდში „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს თბილისში, რუსთავში და ქუთაისში, ანგარიშში ასევე არის განხილული საკურორტო ზონებში არსებული მწვავე პრობლემა, კერძოდ, ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებს ეს ზემოთ ხსენებული ქვეპროგრამა. (სახალხო დამცველის ანგარიში,2022)

აღსანიშნავია, ისიც რომ ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვებისათვის არსებული სერვისები სრულწლოვნების შემდეგ (18წლის) აღარ არის აქტიური, შესაბამისად იმ ახალგაზრდებს, რომლებიც 18 წლის ხდებიან მეტად ეზრდებათ რისკი გახდნენ ძალადობრივი ან კრიმინალური დაჯგუფების წევრები, ეს კი ძალიან დიდი პრობლემაა.(სახალხო დამცველის ანგარიში,2022)

სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშში მკვეთრად არის განხილული საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულების შედეგი, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ამ დამოკიდებულებას ემატება მათი დისკრიმინაცია.

უნდა აღვნიშნოთ ასევე ანგარიშში ნახსენები ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამართალდამცავების მხრიდან მეტად არის ჩართულობა ისეთ საკითხებში, როგორიც არის ტრეფიკინგი და ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა, მატ აქვტ ნებართვა რომ გამოიყენონ ყველა საჭირო ბერკეტი იმისათვის, რომ ამ ახალგაზრდებს ჰქონდეთ ძალადობისგან დაცული გარემო, სწორედ მათი დახმარებით უნდა მოხდეს საკითხების იდენტიფიცირება და სოციალური მუშაკის ჩართულობა.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია სიტუაციის მეტად გართულება, რომელიც 2020 წელს კორონა ვირუსის პანდემიამ გამოიწვია,კერძოდ, ბაზისური საჭიროებების ვერ უზრუნველყოფამ, ისეთი პრობლემები გააღრმავა როგორიცაა საცხოვრებლის

უზრუნველყოფა , სათანადო კვება და ჯანდაცვის სისტემები, ამასთანავე მიუსაფარი ბავშვები ინფექციის გავრცელების მაღალი რისკის ქვეშ ყოფნა, როგორც ანგარიშში განხილულია „2020 წელს მიუსაფარი ბავშვების თავშესაფრით დახმარების პროგრამის მომსახურება მიიღო 277 ბენეფიციარმა, დღის ცენტრების მომსახურება მიიღო 177-მა , ხოლო სადღეღამისიო თავშესაფრების - 100“ (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2020).

2021 წელს, სახალხხო დამცველის ანგარიშში შეტანილმა კვლევამ ცხადყო,რომ ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების მდგომარეობა საკმაოდ რთულია, ვინაიდან საზოგადოების დამოკიდებულებას დაემატა ინფრასტრუქტურის გაუარესება განსაკუთრებით პრობლემა მწვავეა- რუსთავის ცენტრში, ასევე პრობლემა პრობლემად დარჩა ზღვისპირა რეგიონებში.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2019წლიდან 2022 წლამდე ნამდვილად მოხდა სერვისების კუთხით აქტიური ნაბიჯების გადადგმა, თუმცა პრობლემა მაინც ძალზედ რთულია. (სახალხო დამცველის ანგარიში, 2022)

ანგარიშში ასევე აღნიშნულია საქართველოს იუსტიციის სახლის მიერ შემუშავებული სტრატეგიები ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების მიმართ, რათა ისინი იყვნენ დაცული როგორც ტრეფიკინგის ასევე ყოველგვარი ძალადობისგან. 2022 წელს „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში ბათუმში მობილური ჯგუფების რაოდენობა ორამდე გაიზარდა, თუმცა ამ კუთხით ჯერ კიდევ ბევრი სწორი რეფორმაა გასატარებელი.

3.2.2 ეთნიკური იდენტობა და უმცირესობის საკითხები

ჩვენს ქვეყანაში ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხატების გაყიდვასთან, ჯართის შეგროვებასთან,

ყვავილების გაყიდვასა თუ ფულის შეგროვების მიზნით ვითომ ქველმოქმედებასთან, გამომუშავებულ ფულს კი სინამდვილეში პირადი მოხმარების მიზნით იყენებენ, ხშირად ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს ადანაშაულებენ, როგორც ჯიბის ქურდობაში ასევე მანქანებიდან ისეთი ნივთების მოპარვაში, რომელიც ღირებულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუჩაში მყოფი ბავშვები სხვადასხვა ენაზე საუბრობენ და ერთმანეთის იდენტიფიცირებას ახერხებენ სხვადასხვა ეთნიკური იარლიყით და შეხედულებით. აზერბაიჯანში სიტყვა "ბოშა", "ციგანი" ერთმანეთის სინონიმად მოიაზრება, აღნიშნულ ფრაზებს კი აერთიანებს შემდეგი სახის აღწერა, რომელსაც ვხვდებით მოძიებულ კვლევაში ადამიანები, რომლებსაც საზოგადოების უმრავლესობიდან მეტად აქვთ ცხოვრების განსხვავებული წესი და შეხედულებები. (Engebrigtsen 2007; Stewart 1997)

გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევების გაცნობის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქუჩის კავშირის სიტუაციის კარგად აღსაწერად და გასააზრებლად აუცილებელი არ არის ქვეყნების დაყოფა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებად.

საქართველოში მცხოვრები ბევრი ეთნიკური ფენის წარმომადგენლები, კერძოდ ბოშები და ქურთები სოციალურ მომსახურებას უარყოფს და არ იღებენ, ეს კონკრეტული კი ძირითადად გამოწვეული ისტერიული ქვეკონტექსტით, კერძოდ, ისინი თავიდანვე თავს იკავებდნენ სახელმწიფოსთან და სახელმწიფო მომსახურებებიდან, რადგან ურჩევნიათ მათთან კონტაქტი არ ჰქონდეთ. (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018)

როგორც აზერბაიჯანში ასევე საქართველოში არსებობს სოციალური დახმარების მომსახურებები შედარებით დაბალ შემოსავლიანი ოჯახებისათვის, აზერბაიჯანში ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვებისთვის არსებობს განსხვავებული სერვისები ძირითადად მოქმედებს შემდეგი სფეროები (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018)

- სახელმწიფო სექტორი - მართავს დახურულ დაწესებულებებს იმ ბავშვებისთვის, ვინც საჭიროებს დახმარებას, რომლებიც დამნაშავეები არიან კონკრეტულ დანაშაულში
- რაიონული დონეზე არსებული სერვისები - მუშაობს არასრულწლოვანთა საქმეების კომისია, ამ სერვისში არ არიან სოციალური მუშაკები,სოციალური სამუშაოების სისტემა და არც გადამზადებული კვალიფიციური პერსონალი
- ოჯახური მხარდაჭერის 11 ცენტრი- ამ ცენტრების მიზანი არის ღარიბი ოჯახების დახმარება.

საქართველოს სერვისები კი შედარებით დახვეწილია, რომელიც განვითარდა გაეროს ფონდებზე დაყრდნობით, რათა საჭირო სერვისები შეეთავაზებინა ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვებისათვის.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქუჩასთან დაკავშირებული აზერბაიჯანელი ბავშვები,არიან სახლს გარეთ მცხოვრები ოჯახის წარმომადგენლები,მათ შორის არსებობს ერთგვარი მსგავსება ეთნიკური წარმომავლობისა და სოციალური გადაფარვის თვალსაზრისით.

3.3.მობილური ჯგუფები ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების დასაცავად და მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები

საქართველოში სერვისები ძირითადად ხასიათდება შემდეგი სახით ესენია - რეაბილიტაცია და რეინტეგრაციას, სწორედ ამათზე არის ყურადღება გამახვილებული. ქვეყანაში არსებობს ისეთი ფსიქო-სოციალური ქვეპროგრამები, რომელიც მოიცავს სამ სახეობას ესენია

- მობილური გუნდების ვიზიტი მათთვის მიწოდებული ინფორმაციის შესაბამის ადგილებზე, მათი საქმიანობის კოორდინირებას კი სოციალური მუშაკები აწარმოებენ
- დღის ცენტრების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფენ შემდეგ სერვისებს - საკვები, ინდივიდუალური მოვლა, ფსიქოლოგიური დახმარება
- 24 საათიანი თავშესაფარი - უზრუნველყოფს ღამით დარჩენას და დამატებით საკვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტროს აქვს დამატებითი სერვისები, კერძოდ, ისინი საჯარო სკოლებში ატარებენ შეხვედრებს სტიგმატიზაციის საწინააღმდეგო ინფორმირებულობის ასამაღლებლად, ა ეს პროგრამები კი განვითარდა გაეროს ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, 2011 წლიდან 2016 წლამდე იუნისეფ და ევროკავშირის წარმომადგნლები ხელს უწყობდნენ დამხმარე გუნდების წარმატებულ მოღვაწეობას, მათ გადამზადებას და ინფორმაციით უზრუნველყოფას.

აუცილებელია, რომ გამოვყოთ დღის ცენტრებისა და 24 საათიანი სერვისების ფუნქციონირებაში დიდი წვლილი შეაქვს არასამთავრებო ორგანიზაცია "ვორლდ ვიჟენსა" და "საქართველოს კარიტასს". შრომის,ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო ხელს უწყობს ეკონომიურად ზემოთ აღნიშნული სერვისების განხორციელებას. შესაბამისი შედეგის მისაღწევად კი ჯერ კიდევ დიდი ფინანსური რესურსია საჭირო.

ვინაიდან ქუჩაში მცხოვრები ბავშვების დიდ ნაწილს არ აქვს დოკუმენტები, რომელიც საჭიროა იდენტიფიკაციისათვის ისინი ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს სოციალური სერვისების მიღებისათვის, ხელი ეშლებათ ასევე განათლების მიღებაში, ჩემს მიერ მოძიებული კვლევის საფუძველზე ეს პრობლემად მკვეთრად არის გამოკვეთილი, გამოკითხული ბავშვების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ

საიდენტიფიკაციო საბუთების არარსებობის გამო ისინი ვერ რეგისტრირდებიან სკოლებში,თუმცა ამ კუთხითაც არის რესურსი შემუშავებული სოციალური მუშაკების მიერ - ანუ შექმნილია მექანიზმის ფორმა, რომლის ფარგლებშიც ამ მოწყვლად ჯგუფს გადაეცემა დროებითი საბუთი, იმ შემთხვევაშიც თუ არ არსებობს დაბადების მოწმობა.

საბოლოოდ მობილურ ჯგუფებთან დაკავშირებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა რომ არსებობს სერვისები, ეს ყოველივე ჯერ საჭიროებს გადასინჯვასა და განვითარებას, რათა აღნიშნული მწვავე პრობლემის მოგვარება მოხდეს დროულად და კოორდინირებულად.

3.4 გარემოებები, რომლებიც ზემოქმედებს ბავშვების ქუჩაში ცხოვრებაზე და ხელს უწყობს მათ გამოჩენას

ქუჩაში ყოველდღიურად ჩნდებიან ახალი ბავშვები, მათი გამოჩენის მაპროვოცირებელი ფაქტორები კი შემდეგია (სახალხო დამცველის ანგარიში, 2022 წელი)

- მშობლების სიღარიბე, ბავშვები მუშაობენ ოჯახის გამო ან ბავშვს შრომას ავალებენ ნათესავები
- მშობლების მიგრაცია და ცხოვრების რთული პირობები
- მშობლების დაკარგვა ,ავადმყოფობა,დაპატიმრება ან/და მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება
- ოჯახში ძალადობა

მეორეული ინფორმაციით მოპოვებულ წყაროზე დაყრდნობით ასევე ერთ-ერთი მთავარი მაპროვოცირებელი საკურორტო ზონაში არის, ბავშვებს აქვთ სურვილი თვითონვე უზრუნველყონ საკუთარი სურვილები, შესაბამისად ისინი იწყებენ ქუჩაში მუშაობას. აღნიშნული ჯგუფი ძირითადად კვალდაკვალ მიჰყვებიან ტურისტულ

ნაკადებს, ბათუმში, ქობულეთში, ურეკსა და შავი ზღვისპირა სხვა კურორტებზე. ბავშვებმა შესაძლოა გადაწყვიტონ ერთად შეიკრიბონ და დაიწყონ ერთდ მოძრაობა, რომ შეძლონ ერთმანეთის დაცვა, ღამის გასათევი ადგილის პოვნა, ამ დროს ისინი თანხმდებიან და მუშაობას იწყებენ ერთობლივად ქუჩაში შემოწირულობისათვის, წვრილმან ვაჭრობასა და ასევე ქურდობაში. მიღებული კვლევის საფუძველზე ასევე ჩვენ ვაწყდებით ქურდობის გამო ჯგუფურად დაკავებულ მოზარდებს, პოლიცია ცდილობს რომ ხშირად მხოლოდ 14 წლამდე ბავშვები დაარწმუნონ, რათა პასუხისმგებლობა საკუთრ თავზე აიღონ. ეს ყოველივე კი უზრუნველყოფს პროცედურული საკითხებისგან თავის არიდებას. „ბავშვებისგან მიღებული ინფორმაციით ვიგებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ მოხდა ქურდობა ან რაიმე სახის დანაშაული ისინი ცდილობენ ეს დანაშაული აიღოს 14 წლამდე ასაკის ბავშვმა, გამოკითხული ბავშვები კი აღნიშნავენ, რომ ამის ერთადერთი მიზეზის არის ის, რომ პოლიცია ამ გზით ცდილობს შესაბამისი დოკუმენტაციისა და ამ საკითხთან დაკავშირებული ფორმალური დოკუმენტების შევსება აიცილონ თავიდან” (გაეროს ბავშვთა ფონდი ივლისი, 2018 წელი)

3.5 ეკონომიკური საქმიანობა და გადარჩენის გზები

ზემოთ უკვე განვიხილეთ , ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები მოქალაქეებისათვის ასოცირდებიან ქუჩაში არსებულ სხვადასხვა საქმიანობასთან,კერძოდ, რომელშიც მათ ხშირად ხედავენ,ან კიდე უკავშირებენ კერძოდ, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები სტერეოტიპულად ასოცირდებიან ყვავილებისა და რელიგიური ნივთებით ვაჭრობასთან, ხოლო ბიჭები ქველმოქმედების მიღებასთან და წვრილმან ქურდობასთან. თუმცა მოძიებული კვლევის საფუძველზე ვასკვნით, რომ ამ ბავშვებს სხვადასხვა გზით გააქვთ თავი ეს არის დამოკიდებული იმ საკითხზე აქვთ თუ არა მათ შეხება ოჯახთან, ან ოჯახთან

ერთად ეწევა თუ არა საქმიანობას, ასევე ეს ყოველივე დამოკიდებულია მოზარდის ასაკზე, საცხოვრებელ ადგილსა და სეზონურ დროზე. საქართველოს მაგალითზე, მცხოვრები ბავშვები თბილისში, ქუთაისსა და რუსთავში ქუჩის ბავშვები ძირითადად საქმიანობენ წვრილმანი ვაჭრობით, სანთლები, ხელსახოცები, ვაჭრობენ გზაჯვარედინებზე, მეტროსადგურებში, რესტორნებთან, ფულის თხოვნასთან დაკავშირებით კი ძირითადად გამოვლენილია სატრანსპორტო საშუალებებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ასევე ძალიან გავრცელებულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფულის თხოვნა, ისინი ამგვარ საქმიანობას უწოდებენ "პახაობას" რაც მათთვის წარმოადგენს "წვალებას" ან "რთულ შრომას", ეს წარმოადგენს მათთვის რუტინულ და ყოველდღიურ საქმიანობას, ძირითადად ამ საქმიანობით დაკავებულია უმცროსი ასაკის ბავშვები, მოპოვებული კვლევის ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ ბავშვებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ბავშვები სხვადასხვა თანხებს აგროვებენ სხვადასხვა უბნებზე, მათი თქმით რუსთაველი, საბურთალოს ტერიტორიაზე მეტად დიდ თანხებს აგროვებენ, ვიდრე გლდანი - ნაძალადევის ან სხვა. ასევე ცნობილია სატრანსპორტო საქმიანობაში ჩართულობა, კონკრეტულად ქუჩაში მცხოვრები ბავშვები მგზავრებს ეხმარებიან ბარგის გადაზიდვაში, რათა კონკრეტული თანხა მიიღონ, თუმცა მოძიებული მასალაზე დაყრდნობით ვხედავთ შემთხვევებს, როცა მოსახლეობას აქვს უნდობლობა ამ ბავშვებთან და ცდილობენ არ ანდონ არც ბარგი და მათგან შორს დაიჭიროს თავი. (სამეცნიერო-კვლევითი ფონდი ფაფო ოსლო, 2018)

გამომდინარე იქედან, რომ მათ არ აქვთ მუდმივი საცხოვრისი მათი დასარჩენი ადგილები სხვადასხვაა, მოპოვებული კვლევის საფუძველზე ვადგენთ, რომ ეს შეიძლება იყოს ინტერნეტ-კაფეები, ისინი 2-3 ლარამდე თანხას იხდიან, ზოგიერთ კაფეში ამგვარ ბავშვებს რთავენ უფლებას დაიძინონ იქვე, სხვა შემთხვევაში იძინებენ კორპუსებში, კარვებში და სხვა დაწესებულებში, სადაც შედარებით უსაფრთხო ადგილებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვები მოპოვებულ თანხას იყენებენ ნარკოტიკული საშუალებების შესაძენადაც,კერძოდ, მოიხმარენ მარიხუანას, რომლის შოვნაც შედარებით მარტივია, ასევე "ციკლოდოლს", რომელიც ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებაა ამ ჯგუფში.

3.6 სოციალური მუშაობა, როგორც ადამიანთა უფლებათა დაცვის პროფესია

სოციალური მუშაობა, როგორც ტერმინის ცნება მოცემულია სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ასოციაციის 2014 წლის განსაზღვრებაში და განმარტებულია შემდეგნაირად - სოციალური მუშაობა არის პრაქტიკაზე დამყარებული პროფესია.აკადემიური მიდგომა, რომელიც დახმარებას უწევს როგორც ადამიანის ინდივიდუალიურ კეთილდღეობასა და განვითარებას ასევე სოციალურ ცვლილებებს,დამოუკიდებლობის პროცესის წარმატებით წარმართვას. სოციალური მუშაობა ეყრდნობა სამართლიანობის, ადამიანთა უფლებების დაცვას, პასუხისმგებლობებისა და მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპების დამყარებას, როგორც ვიცით სოციალური მუშაკები როგორც თეორიული ასევე ემპირიული ცოდნის საფუძველზე ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში მონაწილეობენ, ისინი ყოველდღიურ რეჟიმში ცდილობენ ცხოვრებისეული პრობლემების გამკლავებასა და კეთილდღეობის გაძლიერებას

სოციალური მუშაობის მოვალეობაა, ინდივიდის,ოჯახების, მოწყვლადი ჯგუფისა და ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობისთვის.ის მოიცავს პრევენციას, აღდგენასა და რემედიაციას . პრევენცია გულისხმობს დაუცველი ადამიანების დროული სერვისის მიწოდებას, მანამ სანამ გამოვლინდება გაურკვეველი დისფუნქციების

მოვლენები. აღდგენა კი მიზნად ისახავს ბენეფიციართა რეაბილიტაციის პროცესს, კერძოდ ისეთი პირების, რომელა დისფუნქცია უკვე დაქვეითებულია, რემედიაციის ფარგლებში კი სოციალური მუშაკი ამცირებს პრობლემას და ქმნის აღმოფხვრის გზებს.

სოციალური მუშაობა მეტად საპასუხისმგებლო პროფესიაა, ვინაიდან მას შეხება აქვს ადამიანის განვითარებასთან და კეთილდღეობასთან,სწორედ ამას შეეხება

კანონი სოციალური მუშაობის შესახებ მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრება

- ინდივიდის მიერ თავისი ცხოვრების წარმატებით წარმართვა და თვითდახმარება
- ინდივიდის საზოგადოებაში ინტეგრაცია
- ისეთი გარემოს შექმნა რომელიც ხელს შეუშლია მარგინალიზაციას
- ხელს შეუწყობს უსაფრთხოების ხელშეწყობას
- სერვისების შეთავაზება ოჯახისა და ინდივიდის განვითარებისათვის (კანონი სოციალური მუშაობის შესახებ, 2018)

ზემოთ ნაჩვენები საკითხით, სოციალური მუშაკის ფუნქციებთან დაკავშირებით მივხვდებით თუ რაოდენ დიდი როლი უნდა ჰქონდეს ამ პროფესიის განვითარებასა და არსებობას ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების მიმართ.

შემდგომ რაც სოციალურ მუშაკს გადაეცემა ამ კონკრეტულ საქმეზე მუშაობა იწყებს პირველ რიგში კონკრეტულ პირთან დაკავშირებას, შემდეგ ნიშნავს ინტერვიუს და მიღებული ინფორმაციის შესაბამის ფორმაში გადატანას, რათა მოახერხოს საკითხის უკეთ გააზრება, რომელიც თავის მხრივ მას დაეხმარება კონკრეტული მომსახურება შესთავაზოს ბენეფიციარს, ეს მართლაც რომ მეტად რთული საქმეა, ვინაიდან სოციალური მუშაკი ამ საკითხში არის ძალიან მნიშვნელოვანი რგოლი. (სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი, 2021)

საინტერესოა ამ საკითხის ირგვლივ არსებული მომსახურებები, რომელშიც სოციალური მუშაკი აქტიურად არის ჩართული - ერთ-ერთი სერვისია "დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს" მიერ განრიდების სერვისის შემუშავება, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, წვრილმან ხვლიგნობაში მონაწილე ბავშვებს სთავაზობს განრიდების პროგრამას, აღნიშნული განსაზღვრავს სამოქალაქო ხელშეკრულების გაფორმებას არასრულწლოვნებს, მათ მშობლებს, პროკურატურასა და სოციალურ მუშაკს შორის.ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული სერვისით კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის სპეციალური სერვისი იქნება შემუშავებული, რომელიც დაეხმარება მათ რეაბილიტაციას, ვინაიდან მოძიებული კვლევის საფუძველზე ვხვდებით, რომ ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყოველდღიურობის ნაწილია წვრილმანი დანაშაულის საკითხი. (კანონი სოციალური მუშაობის შესახებ, 2018)

ასევე 2016 წლიდან ივნისში მიიღეს საკანონმდებლო ცვლილებები პირველი ეს იყო კანონი სოციალური დახმარების შესახებ რომელიც მოიაზრებს, რომ "მიუსაფარი ბავშვი" შევიდეს იმ კატეგორიაში, რომელსაც ნამდვილად სჭირდება სპეციალური ზრუნვა, ხოლო ეს კონკრეტული ბავშვი არის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი.კანონი ასევე მოიცავს ძალადობის აღკვეთასა და ბავშვთა დაცვას, ამ საკითხშიც სოციალური მუშაკი არის ჩართული და ის ვალდებულია ბავშვი განარიდოს მოძალადეებს. აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფში შედის 18 წლამდე ასაკის მოზარდები, კერძოდ ის ინდივიდები რომელთაც სოციალური მუშაკი მიიჩნევს დაუცველად.

3.7 პრევენციული ზომები

ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვებისთვის ყველა ის მომსახურება აუცილებელია იყოს მიმართული პრევენციულ ინიციატივად, იყოს მიმართული

გაუმჯობესებისკენ, პრევენციულ ღონისძიებებში უნდა შევიდეს სამთავრობო ღონისძიებები

1. სკრინინგის ინსტრუმენტები - თუ გავითვალისწინებთ არსებულ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი ბავშვების გამოჩენას ქუჩაში იმისათვის რომ იმუშაონ ან ღამის გასათევი ქონდეთ მივხვდებით თუ რაოდენ დიდი პრევენციაა საჭირო, უნდა მოხდეს რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების იდენტიფიცირება და საჭიროებებზე მორგებული სკრინინგის შეთავაზება იმ შემთხვევაში თუ

- ციხეები - როცა რომელიმე მშობელს აქვს პატიმრობა შეფარდებული
- ჯანდაცვის სამსახურებში - იმ შემთხვევაში თუ მშობელს ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა
- პოლიციისა ან/და სოციალურ სამსახურებში - მშობლის სიკვდილის შემდეგ, ან ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების შემთხვევაში
- სოციალურ სამსახურებში- მშობლების ხანგრძლივი უმუშევრობის შემთხვევაში

2. იდენტიფიცირებისათვის საჭირო დოკუმენტები - აზერბაიჯანელი ოჯახები ხშირად ჩივიან, რომ მათ არ აქვთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ვერ იღებენ საჭირო სერვისებს, აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირებულება იმ საკითხის მიმართ, რომ ბავშვებმა მიიღონ დაბადებისთანავე პირადობის დამადასტურებელი საბუთები.
3. მოწყვლად ბავშვებთან დაკავშირებული პოლიტიკა სტიგმატიზაციის შესუსტებისკენ არის მიმართული - როგორც აზერბაიჯანში ასევე საქართველოში საჭიროა ზრუნვა იმაზე, რომ შემცირდეს სტიგმატიზაცია, ამ კუთხით კი პირველ რიგში საჭიროა ბევრი გადამზადებული კადრი
4. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობა ამ საკითხის მოგვარებისათვის - ვინაიდან ამ ორ კონკრეტულ ქვეყანას შორის ბავშვთა

მიგრაცია განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს საჭიროა ორივე მხარეს შორის რეფორმების გატარება

5. სარეაბილიტაციო მომსახურების წესების ხელახლა დადგენა - ეს კი საჭიროა იმიტომ, რომ ხშირად არსებული სერვისის გამო ბავშვები ვერ ეგუებიან ცენტრებს და ცდილობენ წავიდნენ და თავი დააღწიონ მისთვის მიუღებელ სიტუაციას . (ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები,2018)

3.7 კვლევის ძირითადი მიგნებები

განხილული სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, შესაძლებელია გამოვყოთ კვლევის ძირითადი მიგნებები

- ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები შესაძლებელია დავყოთ, როგორც ლინგვისტური ასევე ეთნიკური კუთხით, ვინაიდან ამ საკითხში ყველაზე მეტად ჭარბობს ეთნიკური ფენა, ყურადღება უნდა მიეპყროს, როგორც უმცირესობათა პოლიტიკას, ასევე არსებულ რეგულაციებს, რათა მაქსიმალურად იქნეს მიახლოებული საჭიროებთან და რისკებთან.
- ქუჩაში მცხოვრები ბავშვების გაწევრიანებას რომელიმე ქვეჯგუფში განაპირობებს, როგორც მისი ასაკი, ასევე მისი ცხოვრების ციკლი და ეთნიკური წარმომავლობა. ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვები იმ ჯგუფში არიან, სადაც ისინი მეტად კომფორტულად გრძნობენ თავს, თოთოეულ ჯგუფში თავს იჩენს ლიდერობის ფენომენი, რომელიც წარმართავს ამ ჯგუფის ლოკაციასა და ურთიერთდამოკიდებულებას, როგორც ძალადობასთან ასევე კრიმინალურ საქმიანობასთან მიმართებაში
- ქუჩის ბავშვების გაერთიანება, მსგავსი ჯგუფები შესაძლებია იყოს როგორც მრავალრიცხოვანი ასევე მცირე, ისინი ცდილობენ კონკრეტული ქუჩები აკონტროლონ მათი ეკონომიკური საქმიანობისთვის, ხშირია შემთხვევა, როდესაც სხვდასხვა ჯგუფის წარმომადგნენლებს მოსდით დავა კონკრეტულ

ლოკაციაზე, რომლის შედეგიც შესაძლოა დასრულდეს ფატალურად (კვლევითი ცენტრი, 2019წელი)

- ხშირად დაფარულად რჩება გოგონების მიმართ სექსუალური ძალადობა, იუნისეფის კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით ვიღებთ ინფორმაციას,რომ ხშირად გოგონები იძულებულები იყვნენ სექსუალური მომსახურება გაეწიათ როგორც ჯგუფის ლიდერებისათვის ასევე დაჯგუფების სხვა წევრებისათვის (გაეროს ბავშვთა ფონდი, ივლისი 2018 წ) ეს მიგვანიშნეს იმაზე, რომ გოგონები ხშირად ძალადობის მსხვერპლნი არიან, თუმცა ეს ინფორმაცია არსად საჯაროვდება
- კვლევის ფარგლებში მირებული ინფორმაციის ვიგებთ რომ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებში ძირითდად ჭარბობს აზერბაიჯანელი ფენა, ვინაიდან აზერბაიჯანში მოვაჭრეების მიმართ მკაცრი სანქციებია და ფულის თხოვნა აკრძალულია, ამიტომ ისინი რეგულარულად გადმოდიან საქართველოში.
- ქუჩაში მცხოვრები ბავშვების ცხოვრება მეტად ატარებს სეზონურ ხასიათს, მათ გადაადგილებაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს ტურისტული სეზონი და შესაბამისად ტურისტული ქალაქები, სწორედ იქ აღნიშუნული პრობლემა ყველაზე მწვავედ არის.
- ყოველდღიურად ირღვევა მათი უფლებები, ისინი მეტად მოწყვლადები არიან, მათ უმეტეს ნაწილს ხელი არ მიუწვდებათ არც განათლებაზე და არც სამედიცინო მომსახურებსა თუ საჭირო სერვისებზე.

3.8 დასკვნა

საბოლოო ჯამში დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული საკითხი მართლაც რომ მწვავე გამოწვევის წინაშე დგას, ვინაიდან ყოველდღიურად იმატებს ქუჩაში იმ ბავშვების რიცხვი რომლებიც საჭიროებენ დახმარებას, როგორც

მატერიალურად ასევე მორალურად, ზემოთ კი ნათლად განვიხილეთ ის ფაქტორები, რომელიც მათ ამ ქცევისკენ უბიძგებს.

აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგა ამ ახალგაზრდებისთვის, ვინაიდან არ დავდგეთ ფატალური ფაქტების წინაშე, ამისათვის კი საჭიროა მოხდეს არამარტო სამთავრობო უწყებების მხრიდან რადიკალური რეფორმების გატარება არამედ საზოგადოების შემეცნება იმასთან დაკავშირებით რომ თითოეული მათთვის მიცემული თანხა არის ხელის შემწყობი ფაქტორი იმისათვის, რომ მათ კვლავ განაგრძონ არსებული საქმიანობა, მიიჩნიონ რომ ის რასაც აკეთებენ მათ ეკონომიკურად უზრუნველყოფს.

ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები ყოველთვის ცდილობენ გაერიდონ სამართალდამცავებს, სოციალურ სამსახურს, რადგან მიაჩნიათ რომ ეს ის ორგანოებია, რომლებიც მათ არ დაეხმარებათ ან/და დაეხმარებათ მაგრამ მათი უფლებები იქნება შეზღუდული ეს კი მათ იდენტიფიცირებას კიდევ უფრო ართულებს, ხშირია შემთხვევა, როცა მათ არ სურთ სოციალურ მუშაკებთან კომუნიკაციის დამყარება ფაქტია, ეს ხდება იმიტომ ,რომ მათ არ იციან რა სერვისებს სთავაზობს ის, არ იციან რომ მათი დახმარებით ისინი შეიქმნიან კეთილდღეობას. ვფიქრობ, რომ ამ კუთხით ბევრი ქმედითი ნაბიჯია გადასადგმელი პირველ რიგში უნდა მოხდეს ამ ბავშვების იდენტიფიცირება, რათა სერვისის კუთხით უზრუნველყოფილი იყოს თითოეული მათგანი, ამისათვის საჭიროა პირველ რიგში სერვისის მიმწოდებელმა ცენტრებმა თვალყური ადევნონ ამ ბავშვებს, ასევე მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობას, უნდა მოხდეს 24 საათიანი დღის ცენტრების გაფართოება, რათა ბავშვებმა შეძლონ ღამის გათევა უსაფრთხოდ და არ მოუწიოთ დასაძინებელი ადგილების მოძიება სადგურებისა და სადარბაზოების.

ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციაზე დაყრდნობითი ასევე მოძიებული მასალის კარგად გააზრების შემდეგ უნდა ვთქვათ რომ მობილური ჯგუფების რაოდენობის მომატება, შესაბამისი მომსახურების შესათავაზებლად ამ ბავშვებს დაეხმარება თავი

დააღწიოს ქუჩაში ყოფას, ვინაიდან მათ ყოველდღიურად უწევთ იბრძოლონ გადარჩენისათვის ეს კი ძალზედ რთულია, ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ დაამტკიცონ საკუთარი შესაძლებლობები, იმ ცხოვრების რიტმის გამო კი რომელიც მათ აქვთ მეტად ხდებიან მათვის ცუდი, მავნე ზემოქმედების ქვეშ, ვერ იღებენ ყველაზე მნიშვნელოვანს - განათლებას, ეს კი თითოეული მოზარდისათვის ძალიან ცუდია.

სწორედ ამიტომ აუცილებელია მობილური ჯგუფების დიდი რაოდენობით გადამზადება, რათა მოახდინონ რეაგირება რეფერირებაზე მათთვის მითითებულ ლოკაციებზე , ჯგუფის წევრებმა მიუსაფარ ბავშვებთან დაამყარონ კონტაქტი უზრუნველყონ საჭირო სერვისებით, საჭიროების შემთხვევაში გაუწიონ, როგორც სამედიცინო ასევე ფსიქოლოგიურ დახმარება, გადასცენ პირადი ჰიგიენისთვის საჭირო ყველა საშუალება,მოაგვარონ ბავშვის დამადასტურებელი მოწმობის აღებასთან დაკავშირებული საკითხები, იმ შემთხვევაში თუ მოვახერხებთ დიდ პროცენტულობა ბავშვებს გავუწიოთ მსგავსი სერვისები შევძლებთ ქმედითი ნაბიჯი გადავდგათ ამ საკითხის განვითრებისკენ. ასევე უნდა ვეცადოთ მოვახერხოთ საზოგადოების სტიგმატიზირებული აზროვნების შეცვლა იმის შესახებ რომ ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვი აუცილებლად არის დამნაშავე, ამისათვის კი საჭიროა ამ საკითხის მეტად პოპულარიზაცია, რათა ინფორმაციის გამჭირვალობა თითოეული მოქალაქისთვის თანაბარი იყოს, ამით როგორც მიუსაფარი ბავშვი დაინახავს, რომ მასზე ზრუნავენ, არამედ საზოგადოებაც შეიმეცნებს რომ ასეთი ბაშვები ხშირად არიან გარემოების მსხვერპლი

გამოყენებული ლიტერატურა

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველი გამომც ა.გ): (გ,გ) (2016)

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველი გამომც ა.გ): (გ,გ) (2019)

ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული სახელმძღვანელო UNICEF (2019)

გაეროს ბავშთა ფონდი:საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო თბილისი (2019)

გაეროს ბავშვთა ფონდი ივლისი, თბილისი (2018)

www.unicef.ge

მობილური ჯგუფები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დასახმარებლად , ევროკავშირი საქართველოსთვის (2021 წელი)

სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC) თბილისი (2017)

სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, ლია წულაძე (2020)

უსახლკარო ბავშვები საქართველოში,ბავშვთა შრომა საქართველოში ,2006

Alem & Laha, 2016, Livelihood of Street Children and the Role of Social Intervention: Insights from Literature Using Meta-Analysis, Child Development Research, Article ID 3582101

Street children are some of the most vulnerable children on the planet, Consortium for street children, Retrieved from: https://www.streetchildren.org/about-street-children/

Protection and promotion of the rights of children working and/or living on the street //united nations human right

https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Children/Study/OHCHRBrochureStreetChildren.pdf

Aptekar, Lewis & Daniel Stoecklin (2014). Street children and homeless youth: A cross-cultural perspective. Dordrecht: Springer